ევროკავშირი
საქართველოსთვის
Project funded by the European Union

ctc Empowering People for Change

CENN Shaping the Future by Changing Today

# სამოქალაქო საზოგადოების
# განვითარების პროექტი

კონკურსი ქვემო ქართლისა და სამცხე ჯავახეთის რეგიონების
სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთვის

## **შესაძლებლობების გაძლიერების პროგრამაში (CDP)**
## მონაწილეობის მისაღებად

**განაცხადის შემოტანის ვადა:**
17 აპრილი, 2022

**კონკურსის შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად გაიმართება ონლაინ საინფორმაციო სესია**
4 აპრილს, 11:00 საათზე.

**შეხვედრის ბმული:**
https://zoom.us/j/93386150139?pwd=dkwvVGR2V04xNmowdEkyaVdhL01GUT09

**Meeting ID:** 933 8615 0139
**Passcode:** 350003

ევროკავშირი საქართველოსთვის
Project funded by the European Union

ctc Empowering People for Change

CENN Shaping the Future by Changing Today

# 1. ინფორმაცია პროექტის შესახებ

კორონავირუსის შედეგად გამოწვეულმა პანდემიამ უფრო ნათელი გახადა ჯანდაცვისა და სოციალურ სისტემებში არსებული გამოწვევები და სოციალური უთანასწორობა საქართველოს მოწყვლად რეგიონებში. ვირუსის გავრცელებამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის მრავალეთნიკურ რეგიონებზე, სადაც კიდევ უფრო გაღვივდა უთანასწორობის პრობლემა. გარდა ამისა, კორონავირუსმა მკვეთრად გააუარესა სოციალური სერვისების გაწევის ხარისხი სოციალურად მოწყვლად თემებში. გამოცდილება აჩვენებს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ძლიერი ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების როლი კრიზისების მართვაში, პოლიტიკის შემუშავების პროცესში ჩართულობასა და ადამიანების უფლებებზე დაფუძნებული სოციალური მომსახურებების გაწევაში. საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების განვითარებაში საერთაშორისო დონორების აქტიური მხარდაჭერის მიუხედავად, სამოქალაქო-საზოგადოებრივი ორგანიზაციების ჩართულობის მაჩვენებელი მმართველობისა და პოლიტიკის შემუშავების პროცესში კვლავ დაბალია.

სამოქალაქო საზოგადოების განვითარების პროექტი მუშაობს ქვემო ქართლის (მარნეული, თეთრიწყარო, დმანისი, გარდაბანი, ბოლნისი, წალკა) და სამცხე-ჯავახეთის (ახალციხე, ნინოწმინდა) რეგიონების რვა მუნიციპალიტეტში და უზრუნველყოფს სამოქალაქო-საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ჩართულობას სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობის ხარისხის გასაუმჯობესებლად და მათ შესაძლებლობების განსავითარებლად.

პროექტი ეფუძნება ხედვას, რომ ძლიერი და კომპეტენტური სამოქალაქო საზოგადოება ხელს უწყობს საზოგადოების თვითგანვითარებას და მხარს უჭერს სახელმწიფოს, როგორც სოციალური მომსახურების მთავარ მიმწოდებელს.

## პროექტის მოსალოდნელი შედეგები

**შედეგი 1:** ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებში გაძლიერებულია სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების შესაძლებლობები და გაუმჯობესებულია სოციალური სერვისების ხარისხი და ხელმისაწვდომობა; სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტები ეფექტიანად უწევენ ადვოკატირებას მოწყვლადი ჯგუფების უფლებების დაცვას და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას;

**შედეგი 2:** შექმნილია სათემო მექანიზმები, რომლებიც აუმჯობესებს ადგილობრივი ხელისუფლების გამჭვირვალობას და ანგარიშვალდებულებას და ხელს უწყობს პოსტ-პანდემიური გამოწვევების საპასუხო სოციალური სერვისების მონაწილეობრივ განვითარებას;

**შედეგი 3:** ფინანსური მხარდაჭერის გზით, ადგილობრივი აქტორების შესაძლებლობები განვითარებულია: ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ფინანსური მდგრადობა გაზრდილია, ადგილობრივ ხელისუფლებასა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობის პრაქტიკები პილოტირებულია მონაწილეობრივი და ინოვაციური მიდგომების სოციალური სერვისების განვითარებისა და შექმნის მიმართულებით;

## პროექტის ძირითადი საქმიანობები

**სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების შესაძლებლობების განვითარება:**

- *სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების შესაძლებლობების განვითარების პროგრამის განხორციელება: ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის 10 სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის ცოდნისა და უნარების გაძლიერება ტრენინგების, მენტორობისა და გამოცდილებების გაზიარების გზით;*
- *ახალგაზრდა პროფესიონალების პროგრამის (YPP) შექმნა: ადგილობრივი მოტივირებული ახალგაზრდების სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ხელმძღვანელობისთვის მოსამზადებლად ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების დაკავშირება ეროვნულ ორგანიზაციებთან გამოცდილებისა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებისთვის;*
- *საერთაშორისო სასწავლო ტურებისა და გაცვლითი ვიზიტების ორგანიზება სამიზნე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და სათემო ინსტიტუტებისთვის;*
- *ახალგაზრდებისა და ქალთა ჯგუფების სამოქალაქო ჩართულობის წახალისება სოციალური სერვისების განვითარებასა და მიწოდების პროცესში: სამოქალაქო განათლების ბანაკებისა და ახალგაზრდებისა და ქალების ცნობიერების ამაღლების კამპანიების განხორციელება; ახალგაზრდებში ციფრული ტექნოლოგიების, ინოვაციებისა და მედიაწიგნიერების უნარების გაძლიერება;*
- *საკომუნიკაციო და ცნობიერების ამაღლების კამპანიების განხორციელება, მედიის ჩართულობის გაზრდა.*

**მონაწილეობრივი დემოკრატიის პრაქტიკების გაძლიერება ადგილობრივ დონეზე:**

- *სათემო ინსტიტუტების მობილიზება რეგიონული სოციალური სერვისების ალიანსში, რომელიც ხელს შეუწყობს და ლობირებას გაუწევს სოციალური და ჯანდაცვის სერვისების გაუმჯობესებას;*
- *სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის პარტნიორული ჯგუფების ჩამოყალიბება;*
- *ადგილობრივი თვითმმართველობის შესაძლებლობების განვითარება ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის 5 სამუშაო პრინციპის შესახებ.*

**ადგილობრივი ინიციატივების ფინანსური მხარდაჭერა სოციალური სერვისების გაუმჯობესების მიზნით:**

- *სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების, ახალგაზრდა პროფესიონალთა პროგრამის კურსდამთავრებულების, სოციალური მეწარმეების, სოციალური სერვისების მიმწოდებლებისა და საჯარო-კერძო პარტნიორობების ფინანსური მხარდაჭერის უზრუნველყოფა იმ ინიციატივების განსახორციელებლად, რომლებიც მიზნად ისახავს გაუმჯობესებული სერვისების მიწოდებას, უზრუნველყოფს საუკეთესო პრაქტიკების და ციფრული გადაწყვეტილებების დანერგვას;*

- *სამოქალაქო საზოგადოებისა და ადგილობრივი ხელისუფლების მიერ ერთობლივად ინიცირებული ინოვაციური პილოტური ინიციატივების განხორციელება, მონაწილეობრივი დემოკრატიის პრაქტიკების შექმნა.*

**ბენეფიციარები**

- *ადგილობრივი და ეროვნული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები და მათი წარმომადგენლები;*
- *ადგილობრივი მოსახლეობა, მათ შორის: ქალები, ახალგაზრდები, მარგინალიზებული, დაუცველი და მოწყვლადი ჯგუფები;*
- *საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება: შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროები; სოციალური მომსახურების სააგენტო;*
- *ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონების სამხარეო ადმინისტრაციები;*
- *სამიზნე 8 მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ხელისუფლება, სოციალური სერვისების მიმწოდებელი ორგანიზაციები, სოფლად არსებული სახელმწიფო ჯანდაცვის ცენტრები და სასწრაფო სამედიცინო დახმარების პუნქტები;*
- *მედია ორგანიზაციები და ჟურნალისტები ადგილობრივ და რეგიონულ დონეზე.*

## 2. შესაძლებლობის გაძლიერების პროგრამის მიზანი და პირობები

**სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების შესაძლებლობების გაძლიერების პროგრამის (CDP)** მიზანია ქვემო ქართლისა და სამცხე ჯავახეთის რეგიონებში ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების შესაძლებლობების გაძლიერება შემდეგი მიმართულებებით: ორგანიზაციული განვითარება, ფინანსური მდგრადობა, ლობირება და ადვოკატირება, მოწყვლადი ჯგუფების უფლებების დაცვა, ადგილობრივ ხელისუფლებასთან ერთად მონაწილეობრივ პროცესებში ჩართულობა. პროგრამა განსაკუთრებულად ფოკუსირებულია სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ცოდნისა და უნარების გაძლიერებაზე სოციალური სერვისების მიწოდებისა და განვითარების საკითხებში.

ევროკავშირი საქართველოსთვის
Project funded by the European Union

ctc Empowering People for Change

CENN Shaping the Future by Changing Today

**შესაძლებლობების გაძლიერების პროგრამა(CDP) მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:**

| | | |
|---|---|---|
| *პროგრამის მონაწილე ორგანიზაციების შესაძლებლობების და საჭიროებების ანალიზი* | *სწავლება, ტრენინგები და ინდივიდუალური მენტორული სესიები* | *თემატური კონსულტაციები ადგილობრივ და საერთაშორისო ექსპერტებთან* |
| *სასწავლო ვიზიტები ჩეხეთში საუკეთესო ევროპული პრაქტიკების გასაცნობად* | *ახალგაზრდა პროფესიონალთა პროგრამა (YPP)* | *საგრანტო კონკურსი* |

## ორგანიზაციული შესაძლებლობის ანალიზი

შემუშავებული მეთოდოლოგიის შესაბამისად შეფასდება პროგრამაში მონაწილე ორგანიზაციების შესაძლებლობები და საჭიროებები სხვადასხვა მიმართულებით. მათ შორის: ორგანიზაციული სანდოობა და საზოგადოების ჩართულობის უზრუნველყოფა, რესურსების მოზიდვა, ადვოკატირება და სერვისის მიწოდება, საკვანძო კომპეტენციები და ქსელები. შედეგად ყველა ორგანიზაციას ექნება შესაძლებლობა ორგანიზაციულ შეფასებაზე დაყრდნობით გადახედოს შემდგომი განვითარების ხედვასა და სტრატეგიულ მიზნებს.

## სწავლება, ტრენინგები და ინდივიდუალური მენტორული სესიები

ორგანიზაციულ შეფასებაზე დაყრდნობით, პროგრამაში მონაწილე ორგანიზაციებისთვის შემუშავდება მათ საჭიროებაზე მორგებული ერთიანი გადამზადების პროგრამა, რომელიც 10 სხვადასხვა მოდულს მოიცავს. ტრენინგები შეეხება, როგორც თემატურ საკითხებს, მათ შორის მუნიციპალური სერვისები, ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომები, სამოქალაქო ინტეგრაციასთან დაკავშირებული საკითხები, საჯარო ფინანსები და სხვა, ასევე მართვის უნარებთან დაკავშირებულ სასწავლო პროგრამებს - პროექტის მენეჯმენტი, ადვოკატირება, ფონდების მოძიება, სტრატეგიული დაგეგმვა და სხვა. სასწავლო პროგრამები შემუშავდება როგორც ქართულ, ასევე, საჭიროების შემთხვევაში, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე. **ტრენინგებზე მონაწილეობა სავალდებულოა პროგრამაში ჩართული ორგანიზაციებისთვის.**

ტრენინგების ციკლი საშუალებას მისცემს ადგილობრივ ორგანიზაციებს აღიჭურვონ თემატური ექსპერტიზით და შეძლონ ადგილობრივ დონეზე თემის საჭიროებების საპასუხო ადგილობრივი სერვისების მიწოდების პროცესში გამოწვევების იდენტიფიცირება და შესაბამისი მიზნობრივი რეკომენდაციების შემუშავება და ადვოკატირება ადგილობრივ ხელისუფლებასთან. სასწავლო კომპონენტი ასევე გააუმჯობესებს მათ უნარებს უზრუნველყონ უკეთესი ორგანიზაციული მართვა და რესურსების მოძიება.

ევროკავშირი
საქართველოსთვის
Project funded by the European Union

## ინდივიდუალური თემატური კონსულტაციები ეროვნულ და საერთაშორისო ექსპერტებთან

პროგრამის მონაწილე ორგანიზაციებს საშუალება ექნებათ მიიღონ მათ საქმიანობასთან დაკავშირებული ექსპერტული კონსულტაციები და ორგანიზაციული განვითარების მიმართულებით კონკრეტული რეკომენდაციები. თითოეული ორგანიზაციისთვის განკუთვნილია 10 საკონსულტაციო სესია, როგორც დარგობრივ ისე ორგანიზაციული მართვის საკითხებზე.

## სასწავლო ვიზიტები ჩეხეთში საუკეთესო ევროპული პრაქტიკების გასაცნობად

CDP-ის მონაწილეებისთვის დაგეგმილია 2 სასწავლო ვიზიტი ჩეხეთში. ვიზიტის ფარგლებში მონაწილეები გაეცნობიან სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და ადგილობრივი თვითმმართველობების თანამშრომლობის საუკეთესო პრაქტიკებს სოციალური სერვისების შემუშავებისა და მიწოდების მიმართულებით; სოციალური სერვისების მიწოდების ევროპულ გამოცდილებასა და სტანდარტებს; საკანონმდებლო და ინსტიტუციურ ჩარჩოს და სხვა. დაგეგმილია ასევე სხვადასხვა სახელმწიფო თუ კერძო ინსტიტუტში სტუმრობა.
სასწავლო ვიზიტები ხელს შეუწყობს გრძელვადიანი თანამშრომლობის ჩამოყალიბებას ქართულ და ჩეხურ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს შორის.

## ახალგაზრდა პროფესიონალთა პროგრამა (YPP)

პროგრამა შესაძლებლობას მისცემს ახალგაზრდებს სამიზნე რეგიონიდან, მონაწილეობა მიიღონ ახალგაზრდა პროფესიონალთა პროგრამაში. პროგრამა გულისხმობს სამიზნე 1 თვიან სტაჟირების პროგრამას ეროვნულ და საერთაშორისო ორგანიზაციებში, ხოლო სტაჟირების შემდგომ, ადგილობრივ შერჩეულ ორგანიზაცებში გამოცდილების გაზიარებას. პროგრამის მონაწილე ახალგაზრდებსა და ორგანიზაციებს, ასევე წვდომა ექნებათ საგრანტო კონკურსზე.

## საგრანტო კონკურსი

პროგრამის მონაწილე წარმატებული ორგანიზაციებისთვის გაიცემა საგრანტო დაფინანსება სოციალური სერვისების მონიტორინგისა და მათი გაუმჯობესების ადვოკატირების ინიციატივების განხორციელებისთვის. გრანტის მოცულობა შეადგენს **3,000 ევროს.**

დამატებით, CDP-ის მონაწილე ორგანიზაციებს შესაძლებლობა ექნებათ მიიღონ **20,000 ევრომდე** ფინანსური მხარდაჭერა სოციალური სერვისების ხარისხისა და ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით.

## 3. პროგრამის საორიენტაციო ვადები

**მარტი - აპრილი, 2022:** კონკურსის გამოცხადება

**აპრილი - მაისი, 2022:** შესარჩევი ეტაპი

**მაისი, 2022:** ორგანიზაციების შერჩევა

**მაისი - ივლისი, 2022:** ორგანიზაციული შესაძლებლობების ანალიზი

**ივლისი, 2022 - ივნისი, 2024:** ტრენინგები, ინდივიდუალური კონსულტაციები

**მარტი, 2023 - სექტემბერი, 2023:** ახალგაზრდა პროფესიონალთა პროგრამა

**აპრილი, 2023 - ოქტომბერი, 2023:** ევროპული სასწავლო ვიზიტები ჩეხეთში

## 4. კონკურსში მონაწილეობის პირობები

**კონკურსში მონაწილეობა შეუძლია საქართველოში რეგისტრირებულ არაკომერციულ იურიდიულ პირს, რომელსაც:**

- *გააჩნია მუშაობის მინიმუმ 1 წლიანი გამოცდილება შემდეგ მუნიციპალიტეტებში: ბოლნისი, მარნეული, დმანისი, თეთრიწყარო, გარდაბანი, წალკა, ახალციხე, ნინოწმინდა.*
- *აქვს დადასტურებული პრაქტიკული გამოცდილება სათემო საჭიროებებზე მორგებული ადგილობრივი სერვისების ადვოკატირებასა თუ მიწოდებაში შემდეგ მიმართულებებით: მოწყვლადი ჯგუფების სოციალური მხარდაჭერა, ჯანდაცვა, ზრუნვა, ინკლუზია, არაფორმალური განათლება და გადამზადება, გარემოს დაცვა, სანიტარია და ჰიგიენა.*

**კონკურსში მონაწილეობისთვის დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა უნდა წარმოადგინონ:**

1. *ინტერესის გამოხატვის შევსებული ფორმა ქართულ ენაზე (იხ. დანართი 1)*
2. *ორგანიზაციის რეგისტრაციის მოწმობის ასლი*
3. *ორგანიზაციაში მომუშავე ან ორგანიზაციის საქმიანობაში ჩართული 2 თანამშრომლის/პირის პროფესიული რეზიუმე(CV), რომელიც ჩართული იქნება პროგრამაში.*

## 5. ორგანიზაციების შერჩევა

კონკურსში გამარჯვებული ორგანიზაციების გამოვლენა განხორციელდება 2 ეტაპად:

პირველ ეტაპზე, დაინტერესებული ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი ინტერესის გამოხატვის განაცხადის საფუძველზე შესარჩევი კომისიის მიერ გამოვლინდება მეორე ეტაპზე გადასული ორგანიზაციები.

ევროკავშირი
საქართველოსთვის
Project funded by the European Union

**შეფასების კრიტერიუმებია:**

| |
|---|
| *ორგანიზაციის მიერ ამ დოკუმენტის მე-4 პუნქტით განსაზღვრული დაშვებადობის მოთხოვნების დაკმაყოფილება;* |
| *მუნიციპალური მომსახურებების მიწოდებასთან დაკავშირებული პრობლემ(ებ)ის ანალიზის ხარისხი;* |
| *სოციალური სერვისების არსებული სტანდარტისა და პრაქტიკის გაუმჯობესებაში სამოქალაქო საზოგადოების როლის შესახებ ორგანიზაციის ხედვის სიცხადე;* |
| *ორგანიზაციის მოტივაცია და მზაობა ჩაერთოს შესაძლებლობის გაძლიერების პროგრამაში;* |
| *ორგანიზაციის გამოცდილების და პროფილის შესაბამისობა კონკურსის მიზანთან და საქმიანობებთან;* |
| *ორგანიზაციული მდგრადობა (საქმიანობების/პროექტების უწყვეტობა, ანგარიშვალდებული ორგანიზაციული სტრუქტურის არსებობა, სათანადო მატერიალური და ადამიანური რესურსების არსებობა);* |
| *წარმოდგენილი თანამშრომლების კვალიფიკაცია და გამოცდილება.* |

**მეორე ეტაპზე,** წინასწარ შერჩეული ორგანიზაციების წარმომადგენლები მოწვეულნი იქნებიან გასაუბრებაზე, რის საფუძველზეც გამოვლინდება **გამარჯვებული 10 ორგანიზაცია.**

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა მოთხოვნილი დოკუმენტები უნდა წარადგინონ **2022 წლის 17 აპრილის ჩათვლით, ელექტრონული ფორმით, შემდეგი ელ. ფოსტის მისამართზე:** applications@cenn.org წერილის ველში („Subject") მიუთითეთ ორგანიზაციის სახელწოდება ***'Capacity Development Program'***

---

**კონკურსის შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად გაიმართება ონლაინ საინფორმაციო სესია** *4 აპრილს, 11:00 საათზე.*

**შეხვედრის ბმული:**
https://zoom.us/j/93386150139?pwd=dkwvVGR2V04xNmowdEkyaVdhL01GUT09

**Meeting ID:** 933 8615 0139
**Passcode:** 350003